



საერთაშორისო  
გამჭვირვალობა  
საქართველო



# ზუბეიდიის საპრეზიდენტოს საქმიანობის შეფასება

# სარიკვი

შესავალი: _____	3
თავი 1. ძირითადი მიგნებები _____	3
თავი 2. ზოგადი ინფორმაცია ზუგდიდის საკრებულოს შესახებ _____	4
თავი 3. მნიშვნელოვანი მოვლენები _____	8
თავი 4. საკრებულოს კომისიების და ფრაქციების საქმიანობა _____	9
თავი 5. საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების კონტროლი _____	12
თავი 6. დროებითი სამუშაო ჯგუფების საქმიანობა _____	13
თავი 7. არასრულად შევსებული დეკლარაციები და შეუთავსებელი საქმიანობა _____	14
თავი 8. საკრებულოს წევრთა ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში _____	16
თავი 9. მოქალაქეთა ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში _____	17
თავი 10. გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობა _____	18
თავი 11. ზუგდიდის საკრებულოს ხარჯები _____	18
რეკომენდაციები _____	23

## შესავალი:

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ წარმოგიდგინებთ ბუგდიდის მუნიციპალიტეტის 2017 წლის მოწვევის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს (შემდეგში ბუგდიდის საკრებულო) საქმიანობის შეფასებას.

ანგარიში ეფუძნება საკრებულოდან გამოთხოვილ, საკრებულოს ოფიციალურ ვებ გვერდზე არსებულ ინფორმაციასა და ჩვენი ორგანიზაციის დაკვირვებებს.

კვლევის საანგარიშო პერიოდია 2017 წლის ნოემბრიდან 2019 წლის ჩათვლით.

## თავი 1. ძირითადი მიგნებები

- ბუგდიდის საკრებულო საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მერიასა და მის მიერ დაფუძნებულ იურდიულ პირებზე სუსტ ზედამხედველობას ახორციელებდა, საკრებულოს წინაშე ანგარიშგაღებულ თანამდებობის პირთა თუ ცალკეულ უწყებათა კონტროლი უმეტეს შემთხვევაში ფორმალური იყო;
- საანგარიშო პერიოდში ბუგდიდის საკრებულომ 65 სხდომა გამართა, რომელთა ნახევარზე მეტი - 40 სხდომა რიგგარეშე იყო;
- ამავე პერიოდში ბუგდიდის საკრებულომ 189 დადგენილება მიიღო, რომელთაგან 146 დადგენილების ავტორი/ინიციატორი ბუგდიდის მერია იყო, 43 დადგენილებისა კი - საკრებულო;
- საკრებულოს 50 წევრს შორის მხოლოდ 7 [ქალია](#), რაც საერთო რაოდენობის 14%-ია.
- ბუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 21 თანამდებობის პირიდან ქონებრივი დეკლარაცია 2019 წლის მდგომარეობით 4-მა თანამდებობის პირმა ხარვეზებით შეავსო;
- ამავე პერიოდში საკრებულოს ექვსი ფრაქციიდან ინიციატივა მხოლოდ ორმა - “ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველომ” და “კონსერვატორებმა” წარადგინეს, ფრაქციებს - “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”, “მრეწველები”, “მწვანეები” და “ევროპული საქართველო” საკრებულოსთვის ერთი ინიციატივითაც კი არ მიუმართავთ;
- ფრაქციათა მიერ განეული საქმიანობის მინიმალური მაჩვენებლების პარალელურად, შეუსაბამოდ დიდია მათ ფუნქციონირებაზე ბუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ განეული ხარჯები, რომელმაც ჯამში 582,032 ლარი შეადგინა;
- ბუგდიდის საკრებულოში არსებობს გენდერული თანასწორობის საბჭო, რომლის სამოქმედო გეგმა საკრებულომ 2019 წლის 5 აპრილს დაამტკიცა, შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ნაწილი ამ კვლევის საანგარიშო პერიოდის შემდგომ დროზეა გათვლილი;

- საანგარიშო პერიოდში საკრებულოს სხდომები ყველა წევრმა გააცდინა. ჯამურად საკრებულოს სხდომები 965-ჯერ გააცდინეს, მათ შორის, 918-ჯერ - არასაპატიო მიზეზით. საკრებულოს წევრები კომისიების სხდომებში 1012-ჯერ არ მონაწილეობდნენ, მათგან 993 არასაპატიო მიზეზით გააცდინეს;
- საკრებულოს წევრთა შორის ყველაზე მეტი სხდომა (57 სხდომა) არასაპატიო მიზეზით ფრაქცია “ევროპული საქართველოს” თავმჯდომარის მოადგილემ, გელა თოლორაიამ გააცდინა, კომისიის ყველაზე მეტი სხდომა (72 სხდომა) არასაპატიო მიზეზით ამავე ფრაქციის წევრმა წევრმა ირაკლი ღურწკაიამ გააცდინა;
- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ბუგდიდის საკრებულოში გაცემულმა სახელფასო ანაზღაურებამ 1,952,557 ლარი შეადგინა, ფულადი ჯილდოს სახით საკრებულოს აპარატის თანამშრომლებმა ჯამში 26,700 ლარი მიიღეს;
- ამავე პერიოდში ბუგდიდის საკრებულომ 89,8 ტონა სანვავი გახარჯა, რომლის ღირებულებამაც 193,777 ლარი შეადგინა, აქედან 16.5 ტონა (16,531 ლიტრი) სანვავი (ჯამური ღირებულებით - 36,606 ლარი) ბუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარემ, მამუკა ნონერიამ გახარჯა.

## თავი 2. ზოგადი ინფორმაცია ბუგდიდის საკრებულოს შესახებ

ბუგდიდის საკრებულო ბუგდიდის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა, რომელიც ახორციელებს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ განსაზღვრულ [უფლებამოსილებებს ბუგდიდის მუნიციპალიტეტში](#), აგრეთვე კანონით დადგენილ ფარგლებში **კონტროლს უწევს აღმასრულებელი ორგანოსა და ამ ორგანოს თანამდებობის პირების საქმიანობას**, ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით, სხვა საკანონმდებლო აქტებითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

ბუგდიდის საკრებულოს 50 წევრი ჰყავს, რომელთაგან **35** წევრი აირჩა ადგილობრივ ერთმანდატიან მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში, ხოლო **15** წევრი – პროპორციული წესით.

საკრებულოს წევრთა შორის მხოლოდ 7 [ქალია](#), რაც საერთო რაოდენობის 14%-ია. საკრებულოს ქალი წევრებიდან 5 იკავებს თანამდებობას, მათ შორის ერთი კომისიის თავმჯდომარეა, ორი - ფრაქციის, ორი კი ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეა.

საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადანყვეტილებათა შესრულებისათვის ხელისშეწყობის, მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და საკრებულოს მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით, საკრებულო თავისი შეხედულებებისამებრ ქმნის კომისიებს. ბუგდიდის საკრებულოში საკრებულოს უფლებამოსილების ვადით შექმნილია შემდეგი კომისიები:

1. იურიდიულ, სამანდატო და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისია (თავმჯდომარე სანდრო სორდია)

2. საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო საკითხთა კომისია (თავმჯდომარე დავით გახარია)
3. ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომისია (თავმჯდომარე ოთარ ქადარია)
4. განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ და გენდერულ საკითხთა კომისია (თავმჯდომარე ეკატერინე კიფაია)
5. ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია (თავმჯდომარე ირაკლი ლაგვილავა)

საკრებულოში მუშაობს 6 ფრაქცია:

ფრაქცია	თავმჯდომარე
ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	თამუნა ჯიქია
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	ანა წითლიძე
კონსერვატორები	დაბმირ ძიმცვიშვილი
მრეწველები	მიხეილ ჯობავა
მწვანეები	ჯონი ჯიქია
ევროპული საქართველო	ბათლომე შელია

ყველა ფრაქციის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილე, ხოლო ფრაქცია “ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო” თავმჯდომარეს - ორი მოადგილე.

საკრებულოს წევრები თავის უფლებამოსილებას უსასყიდლოდ ახორციელებენ, ანაზღაურებადია მხოლოდ საკრებულოს თანამდებობის პირთა საქმიანობა. ჯამში კი ბუგდიდის საკრებულოს 50 წევრიდან თანამდებობას 21 წევრი იკავებს, კერძოდ:

სახელი/გვარი	თანამდებობა	არჩევის თარიღი
მამუკა წონერია	საკრებულოს თავმჯდომარე	14.11.2017
ბესიკ ჭეჭია	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	14.11.2017
თაზო ფაცაცია	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	14.11.2017

<b>კომისიის თავმჯდომარეები</b>		
სანდრო სორდია	კომისიის თავმჯდომარე	14.11.2017
დავით გახარია	კომისიის თავმჯდომარე	14.11.2017
ოთარ ქადარია	კომისიის თავმჯდომარე	14.11.2017
ეკატერინე კიფაია	კომისიის თავმჯდომარე	14.11.2017
ირაკლი ლაგვილავა	კომისიის თავმჯდომარე	14.11.2017
<b>ფრაქციის თავმჯდომარეები და მოადგილეები</b>		
თამუნა ჯიქია	„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - თავმჯდომარე	14.11.2017
ირუბა კაკავა	თავმჯდომარის მოადგილე	26.11.2017
ზაზა პროკოპენკო	თავმჯდომარის მოადგილე	26.11.2017
ანა წითლძე	“ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” - თავმჯდომარე	14.11.2017
დავით შელია	თავმჯდომარის მოადგილე	25.01.2018
დაზმირ ძიმცეიშვილი	“კონსერვატორები” - - თავმჯდომარე	20.11.2017
კონსტანტინე კაკავა	თავმჯდომარის მოადგილე (ყოფილი)	26.12.2017
გიორგი თოდუა	თავმჯდომარის მოადგილე	01.07.2019
მიხეილ ჯობავა	“მრეწველები” - თავმჯდომარე	26.12.2017

ედითა კოდუა	თავმჯდომარის მოადგილე	25.01.2018
ჯონი ჯიქია	“მწვანეები” - თავმჯდომარე	01.02.2018
ამირან ჩხოლარია	თავმჯდომარის მოადგილე	01.02.2018
ბათლომე შელია	“ევროპული საქართველო” - თავმჯდომარე	28.02.2018
გელა თოლორაია	თავმჯდომარის მოადგილე	14.03.2018

### **ზოგადი სტატისტიკა:**

საანგარიშო პერიოდში სულ გაიმართა საკრებულოს 65 სხდომა, მათ შორის ნახევარზე მეტი - 40 სხდომა რიგგარეშე იყო. რიგგარეშე სხდომების ინიციატორი იყვნენ მერი (25 შემთხვევაში) და საკრებულოს თავმჯდომარე (15 შემთხვევაში). საანგარიშო პერიოდში კვორუმის არარსებობის გამო არ ჩაშლილა საკრებულოს არც ერთი სხდომა. ამავე პერიოდში გაიმართა ბიუროს 72 სხდომა.

<b>ზუგდიდის საკრებულოს რიგგარეშე სხდომების რაოდენობა წლების მიხედვით</b>		
<b>2017 წელი (ნოემბერი-დეკემბერი)</b>	<b>2018 წელი</b>	<b>2019 წელი</b>
3	12	25

საანგარიშო პერიოდში ზუგდიდის საკრებულომ 189 დადგენილება მიიღო, რომელთაგან 146 მერიის ინიცირებული იყო, 43 კი - [საკრებულოს მიერ](#).

ზუგდიდის საკრებულოს მიერ მიღებულ სამართლებრივ აქტებზე ზედამხედველობის ორგანომ მოამზადა 17 უარყოფითი დასკვნა. საკრებულომ ყველა მათგანი გაიზიარა.

საანგარიშო პერიოდში ზუგდიდის საკრებულოში სულ დარეგისტრირდა სამი პეტიცია. საკრებულომ ერთს დაუჭირა მხარი, 2 კი უარყო.

## თავი 3. მნიშვნელოვანი მოვლენები

### **ცვლილებები ზუგდიდის საკრებულოს შემადგენლობაში:**

2018 წლის მაისში ჩატარებულ შუალედურ არჩევნებში საკრებულოს ახალ წევრად “ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს” კანდიდატი თენგიზ ალმასია [აირჩიეს](#), შუალედური არჩევნების ჩატარება მას შემდეგ გახდა საჭირო, რაც სოფელ ცაიშის მაჟორიტარი თამაზ ჟორჯოლიანი [გარდაიცვალა](#)

2019 წლის ივლისში ზუგდიდის საკრებულოს “ქართული ოცნების” პარტიული სიით არჩეული წევრი კონსტანტინე კაკავა ზუგდიდის მერის მოადგილედ დაინიშნა, იგი საკრებულოში ამავე პარტიიდან ჯონი ზარანდიამ ჩაანაცვლა.

### **სახელმწიფოსთვის ქონების უსასყიდლოდ გადაცემა:**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ზუგდიდის საკრებულომ სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადასცა:

- ქალაქ ზუგდიდში, ბენდელიანის ქუჩა N35-ში მდებარე [მიწის](#) ორი [ნაკვეთი](#) (ს/კ - 43.31.71.099 და 43.31.71.100);
- ზუგდიდში, სოფელ ორსანტიაში მდებარე მიწის [ნაკვეთი და შენობა](#) (ს/კ 43.24.44.244);
- მერიის საკუთრებაში არსებული ავტომობილი - ტოიოტა ლენდკრუიზერ პრადო (იგი გადაეცა სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას).

### **თანხმობა სესხის აღებაზე**

ამავე პერიოდში ზუგდიდის საკრებულომ მერიას ორჯერ მისცა თანხმობა სესხის აღებაზე:

- 2018 წლის 23 იანვრის, N5 განკარგულებით საკრებულომ ზუგდიდის მერიას მისცა [თანხმობა](#), მუნიციპალური განვითარების ფონდისგან ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაციისათვის სესხის სახით აეღო 5,987,218.23 ლარი;
- 2019 წლის 1 თებერვლის N8 განკარგულებით კი ზუგდიდის საკრებულო [დათანხმდა](#) მერიის მომართვას, ავტობუსების პარკის განახლების მიზნით მერიას სესხის სახით აეღო 3,500,000 ლარი.

### **საკრებულოს მიერ მიღებული მნიშვნელოვანი დოკუმენტები:**

საანგარიშო პერიოდში ზუგდიდის საკრებულომ შემდეგი მნიშვნელოვანი დოკუმენტები მიიღო:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა. (განკარგულება N45 28.12.2017წ);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების შესაბამისობის მოთხოვნათა თავსებადობის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა (განკარგულება N73 03.08. 2018წ);



- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიისა (2019-2020წწ) და ახალგაზრდობის განვითარების სამოქმედო გეგმა. (განკარგულება N2 04.01.2019წ);
- ზუგდიდის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა. (საბოლოო განკარგულება N39 05.04.2019წ).

**საკრებულოს წინაშე ანგარიშვლადებული ორგანოების კონტროლი:**

ზუგდიდის საკრებულოს ზუგდიდის მერიის საქმიანობაში და, მათ შორის სახელმწიფო შესყიდვების პროცესში, ინტერესთა კონფლიქტი ან რაიმე სახის გადაცდომა არ გამოუვლენია. არც მაშინ, როდესაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა 2018 წლის ნოემბერში ქრთამის აღების ბრალდებით ზუგდიდის მერი ლაშა გოგია და მისი მოადგილე გია გულორდავა [დააკავა](#). „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ კი ზუგდიდის მერიასა და შპს „ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი“ სავარაუდო კორუფციული [გარიგებების](#) შესახებ [კვლევები](#) გამოაქვეყნა.

## თავი 4. საკრებულოს კომისიების და ფინანსების საქმიანობა

**საკრებულოს კომისიების საქმიანობა:**

ზუგდიდის საკრებულოში ხუთმა მუდმივმოქმედმა კომისიამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სულ 200 სხდომა გამართა. კვორუმის არარსებობის გამო არცერთი კომისიის სხდომა არ ჩაშლილა. ჯამში კომისიებმა საკრებულოს განსახილველად წარუდგინეს 282 საკითხი, ასევე “იურიდიულ, სამანდატო და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიამ” მოამზადა 114 დასკვნა საკრებულოს მიერ განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

<b>საკრებულოს კომისიათა სხდომების რაოდენობა</b>					
<b>წელიწადი</b>	<b>იურიდიულ, სამანდატო და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისია</b>	<b>ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომისია</b>	<b>საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო საკითხთა კომისია</b>	<b>განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ და გენდერულ საკითხთა კომისია</b>	<b>ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია</b>
2017 წელი (ნოემბერი-დეკემბერი)	5	3	6	2	3
2018 წელი	14	14	18	11	24

2019 წელი	21	13	15	13	38
<b>ჯამი:</b>	<b>40</b>	<b>30</b>	<b>39</b>	<b>26</b>	<b>65</b>

<b>კომისიათა მიერ საკრებულოსთვის წარდგენილი საკითხების რაოდენობა</b>					
<b>წელიწადი</b>	იურიდიულ, სამანდატო და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისია	ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომისია	საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო საკითხთა კომისია	განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ და გენდერულ საკითხთა კომისია	ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია
2017 წელი (ნოემბერი-დეკემბერი)	31	3	6	0	4
2018 წელი	27	14	22	9	40
2019 წელი	30	7	15	10	64
<b>ჯამი:</b>	<b>88</b>	<b>24</b>	<b>43</b>	<b>19</b>	<b>108</b>

**საკრებულოს ფრაქციების საქმიანობა:**

ზუგდიდის 2017 წლის მონვევის საკრებულოში სულ ექვსი ფრაქცია ფუნქციონირებს, ამათგან 4 ფრაქციას რეგისტრაციის დღიდან 2019 წლის ჩათვლით არცერთი საკითხის ინიცირება არ მოუხდენია.

საკრებულოს ფრაქციებმა საანგარიშო პერიოდში მხოლოდ 14 საკითხის ინიცირება შეძლეს. ფრაქცია “ქართული ოცნება-დემოკრატიულმა საქართველომ” - 11 [საკითხი](#), ფრაქცია “კონსერვატორებმა” კი - 3 [საკითხი](#). აღსანიშნავია, რომ ფრაქცია “კონსერვატორებმა” საკითხები საკრებულოში მხოლოდ 2018 წელს წარადგინა. ყველა შემთხვევაში საკრებულომ მიიღო შესაბამისი განკარგულება.

<b>ფრაქცია</b>	<b>ინიცირებული საკითხების რაოდენობა</b>
“ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო”	11

“ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”	0
“კონსერვატორები”	3
“მრეწველები”	0
“მწვანეები”	0
“ევროპული საქართველო”	0
<b>სულ ინიცირებული საკითხები</b>	<b>12</b>

ფრაქციის სხდომაზე საკითხების განხილვის მიზნით აღმასრულებელი ორგანოდან წარმომადგენლები მხოლოდ ფრაქცია “ქართული ოცნება-დემოკრატიულმა საქართველომ” მოიწვია, სულ ცხრაჯერ.

ფრაქციათა მიერ განეული მინიმალური საქმიანობის პარალელურად კი შეუსაბამოა მათ ფუნქციონირებაზე ბუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ განეული ხარჯები, რომელმაც ჯამში **582,032** ლარი შეადგინა, კერძოდ:

<b>ფრაქციათა საქმიანობაზე განეული ხარჯები</b>				
<b>წელიწადი</b>	<b>სატელეფონო კომუნიკაცია</b>	<b>მივლინებები</b>	<b>საწვავის ღირებულება</b>	<b>სახელფასო ანაზღაურება</b>
2017 წელი (ნოემბერი-დეკემბერი)	0	0	599	8,095
2018 წელი	1.300	3,674	40,174	237,071
2019 წელი	1,455	2,726	37,988	248,950
<b>ჯამი:</b>	<b>2,755</b>	<b>6,400</b>	<b>78,761</b>	<b>494,116</b>

## თავი 5. საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების კონსტრუქცი

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, საკრებულო უფლებამოსილია, გააკონტროლოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოებისა და ამ ორგანოების თანამდებობის პირთა საქმიანობა, მოუსმინოს და შეაფასოს<sup>1</sup> მათი ანგარიშები. მერი კი ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მოსახლეობის წინაშე.<sup>2</sup>

ზუგდიდის 2017 წლის მოწვევის საკრებულომ მოისმინა და დადებითად შეაფასა ზუგდიდის მერის, ასევე მერიის ცალკეული თანამდებობის პირთა [ანგარიშები](#). ცალკეული საკითხების განსახილველად მერიის წარმომადგენლები საკრებულოს სხდომებზე 25-ჯერ მოიწვიეს.

საკრებულოს ინფორმაციით, საკრებულოს არცერთ წევრს “არ მიუმართავს კითხვით საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს მერისა თუ სხვა თანამდებობის პირებისთვის”.

ზუგდიდის საკრებულოს მერიის საქმიანობაში და, მათ შორის სახელმწიფო შესყიდვების პროცესში, ინტერესთა კონფლიქტი ან რაიმე სახის გადაცდომა არ გამოუვლენია, ეს მაშინ, როდესაც:

- ზუგდიდის ყოფილი მერი ლაშა გოგია და მისი მოადგილე გია გულორდავა განსაკუთრებით დიდი ოდენობის ქრთამის აღების ბრალდებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა [დააკავა](#), სასამართლომ კი [დამნაშავედ](#) ცნო. ამავე საქმეზე დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით [დააკავეს](#) ასევე ზუგდიდის მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი თენგიზ ქობალია.
- “საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ” 2018 წლის დეკემბერში გამოაქვეყნა [კვლევა](#), რომლითაც დადგინდა, რომ ზუგდიდის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის იმჟამინდელი უფროსის ლაშა ჯაიანის ყოფილი კომპანია შპს „ევრომშენი 999“, 2016-2018 წლებში, 70-ზე მეტ ტენდერში მონაწილეობდა, რომელთაგან 39 შემთხვევაში გაიმარჯვა. დადებული ხელშეკრულებების აბსოლუტური უმრავლესობა (35) ზუგდიდის მუნიციპალიტეტსა და მის სამართალმემკვიდრე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაზე მოდის.
- “საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ” 2019 წლის დეკემბერში გამოაქვეყნა კიდევ ერთი [კვლევა](#) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცალკეულ ტენდერებში სავარაუდო კორუფციულ ნიშნებზე. კვლევით დადგინდა, რომ შპს „ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტის“ დირექტორის, ბადრი ნემსაძისა და მისი მეუღლის, ეკატერინე ქებურიას

1 მუხლი 24-ე, პიურველ მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა“

2 ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 48-ე მუხლის მეორე პუნქტი

ნილობრივ მფლობელობაში არსებული კომპანიები - „ზუგდიდავტოტრანსჯორჯია“, „ზუგდიდავტოტრანსი“ და „სუფთა ქალაქი“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტენდერებში იმარჯვებენ.

არცერთ ზემოთ ჩამოთვლილ საკითხზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არ მოუწვევია სხდომა, არ დაუწყია სახელმწიფო შესყიდვებში სავარაუდო კორუფციული გარიგებების შესწავლა და არ ჰქონია არცერთი მცდელობა სრულყოფილი და ამომწურავი განმარტებები მოეთხოვა მერიისგან ან თავად წარედგინა საზოგადოებისათვის.

ზუგდიდის საკრებულოს წევრებმა ეთიკის კოდექსის დარღვევის ფაქტი 2018 წელს დააფიქსირეს. საკრებულოს ინფორმაციით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ, ანა წითლიძემ დაარღვია ეთიკის კოდექსი და მიეცა „გაფრთხილება ოქმში შეტანით“, ხოლო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატს სალომე ფაცაციას ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის მიეცა „გაფრთხილება“.

საკრებულომ საანგარიშო პერიოდში მერის ინიცირებულ ორ საკითხს არ დაუჭირა მხარი:

- ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში პანთეონის მოწყობის ინიციატივას;
- ა(ა)იპ „სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციისათვის“ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომობილის გადაცემის საკითხს.

## **თავი 6. დროებითი სამუშაო ჯგუფის საქმიანობა**

ზუგდიდის 2017 წლის მონვევის საკრებულოში, სხვადასხვა საკითხების შესწავლის მიზნით, ხუთი დროებითი სამუშაო ჯგუფი შეიქმნა. მათ საქმიანობაში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად სხვადასხვა სექტორიდან მონვეული პირებიც მონაწილეობდნენ. ოთხი სამუშაო ჯგუფიდან მხოლოდ ერთ შემთხვევაში იქნა დასახული მიზანი სრულად მიღწეული, სამ შემთხვევაში კი მხოლოდ ნაწილობრივ

### **მუნიციპალიტეტის სიმბოლოების (დროშა და გერბი) დადგენა**

მუნიციპალური სიმბოლოების დადგენის მიზნით დროებითი სამუშაო ჯგუფი 2018 წლის თებერვალში შეიქმნა. სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა ზუგდიდის დროშისა და გერბის ესკიზი, რომელიც 2018 წლის ივლისში [დაამტკიცა](#) ზუგდიდის საკრებულომ.

### **პარკირების საკითხის მონესრიგება**

ზუგდიდის ტერიტორიაზე ავტომობილების პარკირების სფეროში არსებული [პრობლემების](#) მონესრიგების მიზნით დროებითი სამუშაო ჯგუფი საკრებულოში 2018 წლის ივლისში შეიქმნა. პარკირების ოპერირების პროცესში (რომელიც 2017 წლის ივლისიდან ამოქმედდა და სს “თაუნ პარკი” ახორციელებდა) არაერთი ხარვეზი გამოვლინდა, როგორც სამართლებრივი, ასევე კორუფციის რისკების კუთხით, რაც “საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ” 2017 წლის ივნისში [გამოქვეყნებული კვლევიტაც](#) დაადასტურა.

სამუშაო ჯგუფმა შეისწავლა არსებული პრობლემები, შეიმუშავა პარკირების ახალი [წესი](#), რომელიც 2018 წლის დეკემბერში მიიღო ბუგდიდის საკრებულომ. თუმცა, მიღებული წესები ვერ აღასრულა პარკირების ოპერატორმა კომპანიამ და მასთან მერიამ კონტრაქტი 2019 წლის [იანვარში](#) განწყვიტა, ახალი ოპერატორი კი ბუგდიდის მუნიციპალიტეტმა დღემდე ვერ შეარჩია. შესაბამისად, პარკირების სფეროში, ერთის მხრივ, მოწესრიგებულია სამართლებრივი რეგულაციები, თუმცა უშუალოდ სერვისი მოსახლეობას დღემდე არ მიეწოდება.

### **გარევაჭრობის საკითხზე მომუშავე ჯგუფი**

ბუგდიდის საკრებულომ 2018 წლის აგვისტოში შექმნა დროებითი [სამუშაო ჯგუფი](#) ბუგდიდის ტერიტორიაზე გარევაჭრობის მოწესრიგების მიზნით. სამუშაო ჯგუფმა არაერთი შეხვედრა გამართა და საკრებულომ მიიღო [შესაბამისი წესი](#), თუმცა გარე ვაჭრობის სფეროში არსებული პრობლემები დღემდე არ გადაჭრილა.

### **მუნიციპალური იურიდიული პირების საქმიანობის შემსწავლელი ჯგუფი**

ბუგდიდის საკრებულოში 2018 წლის დეკემბერში შეიქმნა მუნიციპალური იურიდიული პირების საქმიანობის შემსწავლელი ჯგუფი, რომელიც მიზნად ა(ა)იპ-ებსა და შპს-ებში რეორგანიზაციის შედეგად ბიუროკრატის შემცირებას, საბიუჯეტო თანხების გონივრული ხარჯვის უზრუნველყოფასა და მათი მუშაობის ხარისხის გაზრდას ისახავდა. კომისიამ მერიას მიანოდა შესაბამისი რეკომენდაციებიც, თუმცა რეორგანიზაციის [პროცესი](#) დღემდე არ დასრულებულა.

### **ქალაქ ბუგდიდის იერსახის მოწესრიგებაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი**

ბუგდიდის საკრებულომ 2019 წლის დეკემბერში შექმნა დროებით სამუშაო ჯგუფი, რომელიც მიზნად ქალაქ ბუგდიდის იერსახის მოწესრიგებას, ასევე ქუჩების სამისამართო აბრების ფორმის შერჩევას ისახავს. ჯგუფს მუშაობა ჯერ არ დაუშთავრებია.

## **თავი 7. აიასრუად შვისებული რეკონსრუიხი და შუთავსებული საქმიანობა**

ბუგდიდის საკრებულოში პრობლემურია თანამდებობის პირთა მიერ ქონებრივი დეკლარაციის არასრულად, ხარვეზებითშევსებისსაკითხი. საკრებულოს 21 თანამდებობის პირიდან (საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე, ფრაქციის თავმჯდომარე და ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე) 2019 წლის მდგომარეობით დეკლარაცია 4 თანამდებობის პირმა შეავსო ხარვეზებით.



## **მამუკა წონერიძე**

*ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარე*

მამუკა წონერიძის 2019 წლის ოქტომბერში შევსებულ [დეკლარაციაში](#) აღნიშნული აქვს, რომ შპს „[ზუგდიდის ეტერზეთების კომპანიის](#)“ 100% წილის მფლობელია, თუმცა, კანონის მოთხოვნის მიუხედავად, მას აღნიშნულ წილი მართვის უფლებით სხვა პირისათვის არ გადაუცია.



## **ზაზა პროკოპენკო**

*ფრაქცია “ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს” თავმჯდომარის მოადგილე*

ზაზა პროკოპენკოს 2019 წლის თებერვალში შევსებულ [დეკლარაციაში](#) არ აქვს აღნიშნული, რომ იგი არის შპს “[ანი+ნინის](#)” 50% წილის მფლობელი და კოოპერატივს “[რკ ყულიშკარი 2014](#)”-ის დირექტორი.



## **მიხეილ ჯობავა**

*ფრაქცია “მრეწველების” თავმჯდომარე*

მიხეილ ჯობავას 2019 წლის თებერვალში შევსებულ [დეკლარაციაში](#) აღნიშნული აქვს, რომ იგი არის შპს “[ნიგი 21](#)”-ისა და შპს “[საქართველოს ნატურალური პროდუქტის](#)” 50/50% წილის მფლობელი, თუმცა კანონის მოთხოვნის მიუხედავად, მას აღნიშნულ წილები მართვის უფლებით სხვა პირისათვის არ აქვს გადაცემული.

აღსანიშნავია, რომ შპს “ნიგი 21”-ში მიხეილ ჯობავას პარტნიორი ფრაქცია “ევროპული საქართველოს” თავმჯდომარე ბათლომე შელიაა.



## ბატლოშვი შალია

ფრაქცია “ევროპული საქართველოს” თავმჯდომარე

ბატლოშვი შელიას 2019 წლის ივლისში შევსებულ [დეკლარაციაში](#) აღნიშნული აქვს, რომ იგი არის შპს “ნიგი 21”-ის 50% წილის მფლობელი და დირექტორი. თუმცა, კანონის მოთხოვნის მიუხედავად, მას არ დაუტოვებია დირექტორის პოზიცია და საკუთარი წილიც უფლებით სხვა პირისათვის არ გადაუცია.

### კანონმდებლობის მოთხოვნა:

„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ [კანონის](#)” თანახმად, პირი თანამდებობაზე დანიშნვიდან ორი თვის ვადაში ვალდებულია სრულყოფილად შეავსოს [დეკლარაცია](#)<sup>3</sup>, ასახოს ინფორმაცია საკუთარი და ოჯახის წევრთა ქონებისა და ეკონომიკური ინტერესების შესახებ<sup>4</sup>, სამეწარმეო ორგანიზაციებში არსებული საკუთარი წილები მართვის უფლებით გადასცეს სხვა პირს<sup>5</sup> და თანამდებობაზე დანიშნვიდან 10 დღის ვადაში დატოვოს სამეწარმეო ორგანიზაციის დირექტორის, ხელმძღვანელის პოზიცია<sup>6</sup>.

## თავი 8. საჩივაროს წევრთა ჩართულობა საჩივაროს საქმიანობაში

ზუგდიდის საკრებულოს [რეგლამენტით](#) არ არის დაზუსტებული, საკრებულოს წევრის მიერ სხდომის გაცდენისას რა შემთხვევა ითვლება არასაპატიო მიზეზად. საკრებულოს რეგლამენტი ეყრდნობა “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” ჩანაწერს, რომლის [თანახმადაც](#) საკრებულოს წევრს ვადამდე შეუწყდება უფლებამოსილება, თუ იგი “არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 6 თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში”.

ზუგდიდის საკრებულოს მიერ მონოდებულ ინფორმაციაში საკრებულოს და კომისიის სხდომების გაცდენის მიზეზი განმარტებულია შემდეგნაირად - “არა”, რაც სავარაუდოდ ის შემთხვევაა, როდესაც წევრი საკრებულოს ან/და კომისიის სხდომის გაცდენისას არ იმყოფება შვებულებაში ან სამსახურეობრივ მივლინებაში.

3 მუხლი მე-14, პუნქტი 1  
4 მუხლი მე-15  
5 მუხლი მე-16, პუნქტი მე-6  
6 მე-14 მუხლი, პუნქტი მე-10



### **მონაწილეობა საკრებულოს სხდომებში:**

საკრებულოს წევრებმა საკრებულოს სხდომები 965-ჯერ გააყენეს, მათ შორის 918-ჯერ - არასაპატიო მიზეზით.

საკრებულოს წევრთა შორის ყველაზე მეტი სხდომა (57 სხდომა) არასაპატიო მიზეზით ფრაქცია “ევროპული საქართველოს” თავმჯდომარის მოადგილემ, გელა თოლორაიამ გააყენა. გაცდენების რაოდენობით ლიდერებს შორის არიან - ფრაქცია “ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს” წევრი ოთარ მარშავა (44 სხდომა) და ფრაქცია “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” თავმჯდომარის მოადგილე დავით შელია (42 სხდომა).

დეტალური ინფორმაცია იხილეთ [დანართში](#).

### **მონაწილეობა საკრებულოს კომისიების სხდომებში:**

საკრებულოს წევრები აცდენენ კომისიების სხდომებსაც. ჯამში გაცდენის 1012 შემთხვევა დაფიქსირდა, მათ შორის 993-ჯერ - არასაპატიო მიზეზით.

საკრებულოს წევრთა შორის კომისიის ყველაზე მეტი სხდომა (72 სხდომა) არასაპატიო მიზეზით გააყენა ფრაქცია “ევროპული საქართველოს” წევრმა ირაკლი ლურჯაიამ. კომისიის სხდომის გაცდენების რაოდენობით ლიდერებს შორის არიან - მალხაზ ციკუტანია (67 სხდომა) - ფრაქცია “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” წევრი და ამავე ფრაქციის თავმჯდომარე ანა წითლიძე (63 სხდომა).

კომისიის წევრები არ არიან და შესაბამისად, კომისიის სხდომებში კომისიის წევრის სტატუსით არ მონაწილეობენ საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა წონერია და მისი მოადგილეები ბესიკ ჭეჭია და თაზო ფაცაცია.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ [დანართში](#).

## **თავი 9. მოქალაქეთა ჩართულობა საჩივაროს საქმიანობაში**

ბუგდიდის საკრებულომ შესაბამისი დადგენილებებით მიიღო ყველა ის რეგულაცია, რომლებიც უზრუნველყოფენ მოქალაქეთა ჩართულობას მუნიციპალიტეტის, მათ შორის საკრებულოს საქმიანობაში:

- განახლდა მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი, ამჟამად კი ინერგება პეტიციის ელექტრონული სისტემა;
- პეტიციის წარდგენისათვის საჭირო ამომრჩევლების ხელმოწერათა მინიმალური რაოდენობა 1-დან 0,5% [შემცირდა](#);
- მოქალაქეებს შეუძლიათ ელექტრონულად მიმართონ მუნიციპალიტეტს კონკრეტული ინიციატივით, ასევე ვებ-გვერდის მეშვეობით გამოითხოვონ სასურველი ინფორმაცია;
- დაინერგა სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მოქალაქეები

თავად წყვეტენ, თუ რა უნდა გაკეთდეს გამოყოფილი თანხით;

- მოქალაქეთა ინფორმირება მნიშვნელოვან საკითხებზე ხორციელდება “SMS ინფოს” მეშვეობით;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტი ერთადერთია რეგიონში, სადაც საკრებულოს წევრები განუული საქმიანობის შესახებ ანგარიშს წელიწადში ოთხჯერ [წარადგენენ](#);
- საკრებულო მერიასთან ერთად მართავს ბიუჯეტის საჯარო განხილვებს;
- საკრებულოს წევრები ჩართული არიან “დასახლების საერთო კრებებში”, “სოფლის მხარდაჭერის პროგრამის” მიმდინარეობის პროცესში, ასევე ხვდებიან ამომრჩევლებს;
- საჯაროინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ხარისხი [მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია](#).

## თავი 10. გენდერული თანასწორობის საბაზო საქმიანობა

ზუგდიდის საკრებულოში მუშაობს გენდერული თანასწორობის საბჭო, რომლის სამოქმედო გეგმა საკრებულომ დაამტკიცა 2019 წლის 5 აპრილს, დაგეგმილი საქმიანობის ძირითადი ნაწილი წინამდებარე კვლევის საანგარიშო პერიოდის შემდგომ დროზეა გათვლილი.

შესაბამისად, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გენდერული თანასწორობის საბჭოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების ანალიზი, ასევე არცერთი საკანონმდებლო აქტის პროექტზე ექსპერტიზა არ განუხორციელებია.

## თავი 11. ზუგდიდის საკრებულოს ხარჯები

### სახელფასო ანაზღაურება და პრემია:

ზუგდიდის 2017 წლის მონვევის საკრებულოში საკრებულოს წევრებზე და საკრებულოს აპარატის თანამშრომლებზე ჯამში (2017 წლის ნოემბრიდან 2019 წლის სექტემბრის ჩათვლით) გაცემულმა სახელფასო ანაზღაურებამ 1,952,557 ლარი შეადგინა. ამავე პერიოდში ფულადი ჯილდო გაიცა მხოლოდ საკრებულოს აპარატის თანამშრომლებზე, ჯამური მოცულობით 26,700 ლარი (2018 წელს - 17,300 ლარი, 2019 წელს კი - 9,400 ლარი).

**ზუგდიდის 2017 წლის მონვევის საკრებულოში გაცემული შრომის ანაზღაურება და პრემია**

წელი	შრომის ანაზღაურება	პრემია
2017 წელი (ნოემბერი-დეკემბერი)	114,954	0
2018 წელი	934,810	17,300
2019 წელი	902,793	9,400
<b>ჯამი</b>	<b>1,952,557</b>	<b>26,700</b>

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს თანამდებობის პირებზე გაცემული სახელფასო ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ გრაფიკში:

**საკრებულოს თანამდებობის პირებზე გაცემული შრომის ანაზღაურება**

სახელი/გვარი	თანამდებობა	შრომის ანაზღაურება
მამუკა წონერია	საკრებულოს თავმჯდომარე	67,764
ბესიკ ჭეჟია	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	61,371
თაზო ფაცაცია	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	61,371
სანდრო სორდია	კომისიის თავმჯდომარე	51,143
ეკატერინე კიფაია	კომისიის თავმჯდომარე	51,143
ოთარ ქადარია	კომისიის თავმჯდომარე	52,286
ირაკლი ლაგვილავა	კომისიის თავმჯდომარე	51,143
დავით გახარია	კომისიის თავმჯდომარე	51,143

საკრებულოს ფრაქციების თავმჯდომარეებსა და მათ მოადგილეებზე გაცემული სახელფასო ანაზღაურებისა და პრემიის შესახებ ინფორმაცია იხილეთ გრაფიკში:

<b>ფრაქციის თავმჯდომარეებზე და მათ მოადგილეებზე გაცემული სახელფასო ანაზღაურება</b>		
<b>სახელი/გვარი</b>	<b>თანამდებობა</b>	<b>სახელფასო ანაზღაურება</b>
თამუნა ჯიქია	ფრაქციის თავმჯდომარე	51,143
ზაზა პროკოპენკო	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	29,950
ირუბა კაკავა	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	30,000
ანა წითლიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	51,142
დავით შელია	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	28,750
დაბმირ ძიმცვიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარე	49,810
კონსტანტინე კაკავა	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე (ყოფილი)	22,500
გიორგი თოდუა	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	7,500
მიხეილ ჯობავა	ფრაქციის თავმჯდომარე	48,000
ედიტა კოდუა	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	30,000
ჯონი ჯიქია	ფრაქციის თავმჯდომარე	46,000
ამირან ჩხოლარია	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	28,750
ბათლომე შელია	ფრაქციის თავმჯდომარე	43,429
გელა თოლორაია	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	27,143

### სამივლინებო ხარჯები:

ზუგდიდის საკრებულოს წევრთა და აპარატის თანამშრომელთა მივლინებებზე ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ საანგარიშო პერიოდში, სულ **16,269** ლარი გაიხარჯა.

<b>ზუგდიდის 2017 წლის მონვევის საკრებულოში მივლინებებზე განუული ხარჯი</b>	
2017 წელი	193
2018 წელი	7,309
2019 წელი	8,767
<b>ჯამი</b>	<b>16,629</b>

### სატელეკომუნიკაციო ხარჯები:

ზუგდიდის საკრებულომ სატელეფონო კომუნიკაციაზე **15,726** ლარის ხარჯი გასწია.

<b>ზუგდიდის 2017 წლის მონვევის საკრებულოში სატელეფონო კომუნიკაციაზე განუული ხარჯი</b>	
2018 წელი	8,074
2019 წელი	7,652
<b>ჯამი</b>	<b>15,726</b>

### საკრებულოს წევრის საქმიანობის ანაზღაურება:

“ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” საკრებულოს იმ წევრისთვის, რომელიც არ იკავებს თანამდებობას და, შესაბამისად, არ აქვს ანაზღაურება, ითვალისწინებს საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთვის განუული ხარჯების ანაზღაურების შესაძლებლობას, რომლის ჯამურმა ოდენობამაც ზუგდიდის 2017 წლის მონვევის საკრებულოში 285,169 ლარი შეადგინა.

<b>ზუგდიდის 2017 წლის მონვევის საკრებულოში საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთვის წევრობაზე განუული ხარჯების ანაზღაურება</b>	
2017 წელი (ნოემბერი-დეკემბერი)	13,875
2018 წელი	137,902
2019 წელი	133,392

### ავტომობილები და საწვავის ხარჯები:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბალანსზე სამი ავტომობილი ირიცხება:

ავტომობილის მარკა	გამოშვების წელი	შეძენის წელი	გადახდილი ღირებულება	სარგებლობა
ფოლქსვაგენ ამაროკი	2011	2012	58,000	მამუკა წონერია - საკრებულოს თავმჯდომარე
ტოიტა ქამრი	2012	2012	44,500	ბესიკ ჭეჭია - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე
ტოიტა კოროლა	2007	2008	27,800	გაუმართავია

ზუგდიდის საკრებულოს ბალანსზე საანგარიშო პერიოდში ირიცხებოდა დამატებით სამი ავტომობილი, სამივე მათგანი საკრებულომ გადასცა ზუგდიდის მერიას.

ზუგდიდის საკრებულოს ბალანსზე რიცხული ავტომობილების შეკეთებისა და საბურავების შეცვლისათვის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჯამში 33,866 ლარი დაიხარჯა (2018 წელს - 22,711 ლარი, 2019 წელს კი - 11,155 ლარი).

ადგილობრივი ბიუჯეტიდან შესყიდული საწვავით მხოლოდ საკრებულოს თანამდებობის პირები სარგებლობენ, საკრებულოს თავმჯდომარე თვეში საშუალოდ 700 ლიტრ საწვავს ხარჯავს, მოადგილეები 250-300 ლიტრ საწვავს, კომისიისა და ფრაქციების თავმჯდომარეები კი საშუალოდ 150 ლიტრს.

ჯამში ზუგდიდის საკრებულომ 89,8 ტონა [საწვავი გახარჯა](#), რომლის ღირებულებამაც 193,777 ლარი ლარი შეადგინა.

ზუგდიდის საკრებულოს მიერ გახარჯული საწვავი		
წელი	ლიტრი	ღირებულება
2017 წელი (ნოემბერი-დეკემბერი)	1,844	2,511
2018 წელი	42,858	92,849
2019 წელი	45,185	98,417

ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარემ მამუკა წონერიამ საანგარიშო პერიოდში 16.5 ტონა (16,531 ლიტრი) საწვავი გახარჯა, ჯამური ღირებულებით - 36,606 ლარი, რაც ზუგდიდის საკრებულოს მიერ ამავე პერიოდში გახარჯული საწვავის 18%-ს შეადგენს.

# ჩაკონტროლებადი

## კონტროლის განხორციელება:

- საკრებულოს წევრები უფრო აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ საზედამხედველო საქმიანობაში, კერძოდ უფრო ხშირად უნდა იყენებდნენ კონტროლის მექანიზმებს, უფრო ქმედითად უნდა ზედამხედველობდნენ სახელმწიფო შესყიდვების პროცესს, მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებს;
- აღმასრულებელ ორგანოთა საქმიანობის ზედამხედველობის პროცესში აქტიურად უნდა ჩაერთონ საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიები;
- საკრებულომ აქტიურად და კეთილსინდისიერად უნდა გამოავლინოს მუნიციპალიტეტში ინტერესთა კონფლიქტის, თანამდებობრივი შეუთავსებლობის, საკრებულოს რეგლამენტის და ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტები;
- საკრებულომ უნდა გააკონტროლოს გაცემული რეკომენდაციების, მათ შორის საკრებულოში არსებული დროებითი სამუშაო ჯგუფების მიერ მომზადებული რეკომენდაციების აღსრულების პროცესი, იზრუნოს თითოეული რეკომენდაციის შესასრულებლად.

## საკრებულოს სხდომები:

- ზუგდიდის საკრებულომ უნდა დახვეწოს მუშაობის საორგანიზაციო მხარე, შეამციროს რიგგარეშე სხდომების რაოდენობა, რადგან ეს ვერ უზრუნველყოფს მოქალაქეთა ჩართულობას, ინტერესთა ჯგუფების მობილიზებას, სხდომაზე განსახილველი საკითხებისთვის მომზადებას, სათანადო ორგანოს გამჭვირვალობას

## ანგარიშვალდებულება:

- უნდა გაუმჯობესდეს საკრებულოს და მისი კომისიების სხდომებზე საკრებულოს წევრთა დასწრება. მიგვაჩნია, რომ საკრებულოს ყველა წევრი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდეს და ესწრებოდეს სხდომებს. ამასთან, საკრებულოს წევრს, სხდომის არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში, შესაბამისი სანქციებიც დაეკისროს.
- თანამდებობის პირთა მიერ დეკლარაციების შევსება გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს, ამასთან, დეკლარაციების არასრულად შევსება კორუფციის საფრთხესაც შეიცავს. ამიტომაც აუცილებელია, რომ თანამდებობის პირებმა დეკლარაცია სრულად და უხარვეზოდ შეავსონ.

## ფრაქციების საქმიანობა:

- მნიშვნელოვანია, რომ ფრაქციის საქმიანობა სარგებლის მომტანი იყოს შესაბამისი თვითმმართველობისათვის, ფრაქცია აქტიურად უნდა ჩაერთოს საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხების განხილვისა თუ გადამწყვეტის პროცესში, შეისწავლოს/გააკონტროლოს მერიისა თუ მუნიციპალური იურიდიული პირების საქმიანობა; წარსდგეს საკრებულოში ინიციატივებით, აქტიურად ჩაერთოს ბიუჯეტირების

პროცესში და ა.შ. ფრაქციები მნიშვნელოვნად ზრდის თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობას, მხარს უჭერს ადგილობრივ ინიციატივებს, აგრეთვე მოქალაქეთა საჭიროებებისა და პრობლემების ადვოკატირებას. შესაბამისად, მოვუწოდებთ ფრაქციებს, აღნიშნული ინსტრუმენტები აქტიურად გამოიყენონ;

### **საკრებულოს ხარჯები:**

- მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს განეული ხარჯები სრულ თანხვედრაში იყოს კანონმდებლობით მისთვის განკუთვნილი უფლებამოსილებების განხორციელებასთან.
- საკრებულომ მკაცრად უნდა აკონტროლოს როგორც უშუალოდ წარმომადგენლობითი ორგანოს, ასევე ზოგადად მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ხარჯები და ორინეტირებული იყოს ფინანსური რესურსების ეფექტურად ხარჯვაზე.